განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
# დასკვნა
# პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

## პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი

## ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნინო ბოჭორიშვილი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

წევრები:

ლევან მადათოვი, ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი
2019

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |

## ინფორმაცია პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი |
| საათების რაოდენობა | 24 საკონტაქტო საათი |
| სწავლების მეთოდი/ ფორმა | ☐ელექტრონული კურსი<br>☒საკლასო მეცადინეობა |
| პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული) | ახალი |

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდეგში - ქართული უნივერსიტეტი) მიერ პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" (შემდგომში - №242 დადგენილება) შესაბამისად ძირითადი ჩართული მხარეების რეკომენდაციების მიხედვით და უზრუნველყოფს დასახული კომპეტენციების განვითარებას მსმენელებისათვის. პროგრამა შედგება 4 მოდულისაგან, რომლებიც მოიცავენ III და IV რანგის პროფესიული საჯარო მოხელისათვის აუცილებელი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი გაანგარიშებულია 24 საათზე, რომელიც გადანაწილებულია შემდეგ მოდულებზე: ადმინისტრაციული წარმოება, ეთიკა საჯარო სამსახურში, პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა და ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა, რაც უზრუნველყოფს - №242 დადგენილებით III და IV რანგის პროფესიული საჯარო მოხელისათვის განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებას.

სწავლების ფორმად შერჩეულია საკლასო მეცადინეობა. ერთი ნაკადისათვის განსაზღვრულია 15 მსმენელის დასწრება. ამასთან, მსმენელთა დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ

მსმენელი სამუშაო დღეს გათავისუფლებულია სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში - 6 საკონტაქტო საათს.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების კურსით პროგრამის დასრულებისა და სერტიფიკატის გაცემის საფუძველია საკონტაქტო საათებზე არანაკლებ 80 %-იანი დასწრების მაჩვენებელი და მოდულების საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით 100 თემატური ტესტიდან 75 %-იანი შეფასება.

## შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 სექტემბრის N818 ბრძანებით, დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ნინო ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით, წევრი - ლევან მადათოვი. ვიზიტი განხორციელდა ბრძანებით განსაზღვრულ დღეს 2019 წლის 18 სექტემბერს. მუშაობა წარიმართა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.

ვიზიტის დღეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიერ აკრედიტაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროება, შესაბამისად ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ვიზიტის დღეს გაიმართა შეხვედრები დაწესებულების, პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანთან, ასევე სამართლის პროგრამის კოორდინატორთან, ადმინისტრაციის უფროსთან (კანცლერი); ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან და პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან დღის წესრიგით გათვალისწინებული თანმიმდევრობით. ვიზიტის დღეს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების მატერიალური ფართის ვიზუალური დათვალიერება - მისამართზე, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის განხორციელებამდე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ყველა ინდიკატორთან დაკავშირებით, ასევე, თვითშეფასების ანგარიშიც ნაკლებ ინფორმაციული იყო, თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვითა და ინტერვიურების შედეგებით ეს დანაკლისი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ზოგადად - ვიზიტი წარიმართა მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა. ვიზიტის ბოლოს პროგრამაში ჩართულ პირებს ექსპერტთა ჯგუფმა შემაჯამებელ შეხვედრაზე მიაწოდა ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილ ძირითად მიგნებებზე.

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის მიერ საკრედიტაციოდ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის დღეს ჩატარებული ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის - პიროვნული და

პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის შინაარსი მეტწილად შესაბამისობაშია პროფესიული საჯარო მოხელის აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საჯარო მოხელის აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ პროგრამის მოდიფიცირების გზით კომპონენტები დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული;
- დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების/კომპეტენციების მოდიფიცირება და სწავლის შედეგების რუკასთან თავსებადობა;
- მიზანშეწონილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სასწავლო მასალა/ჰენდაუთები, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

- **რჩევები:**

- სასურველია, პროგრამის შემუშავება/განვითარების თანამონაწილეობითი პროცესი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, ასახული იყოს ისეთ დოკუმენტში, რომელიც იქნება დამტკიცებული ფორმით;
- სასურველია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სისტემატიურად აწარმოოს დაინტერესებული კომპეტენტური პირების ჩართულობის დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტები, მაგალითად საკუთარი მუშაობა აწარმოონ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებით და სამუშაო ჯგუფის მუშაობა აღბეჭდონ სხდომის ოქმში;
- სასურველია, ადმინისტრაციამ პროგრამის ოთხივე კომპონენტი ვებგვერდზე განათავსოს მოდულის ან სილაბუსის სახით, მოდულის ან სილაბუსის სრული სახელწოდების მითითებით;
- სასურველია, პროგრამის კომპონენტები (მოდული/სილაბუსი) ვებგვერდზე განთავსდეს, არა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სხვადასხვა სახით და ფორმით შედგენილი, არამედ დაწესებულების მიერ ოფიციალურად, პროგრამასთან ერთად დამტკიცებული პროგრამის კომპონენტების სახით;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად;
- სასურველია პროგრამის ოთხივე კომპონენტი იძლეოდეს ერთი და იგივე ფორმატით ინფორმაციას საკონტაქტო საათებიდან დროის განაწილების შესახებ;
- სასურველია, პროგრამის კომპონენტში/ მოდულში უცხოენოვანი სასწავლო მასალა არ მიეთითოს ძირითად ლიტერატურად და გადავიდეს დამატებით ლიტერატურაში;
- სასურველია, სერტიფიკატის გაცემის წესი პროგრამის კომპონენტების მსგავსად ასახული იყოს პროგრამაში;
- სასურველია პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი ფორმატი დაწესებულებამ დააფიქსიროს ოფიციალურად დამტკიცებულ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესში, ასევე ასახოს პროგრამასა და პროგრამის კომპონონეტებში;
- აკრედიტაციის მიზნებისთვის სასურველია დაწესებულებამ ცენტრის შექმნამდე და ფუნქციების განსაზღვრამდე, შეიტანოს ცვლილება ყველა იმ სამართლებრივ აქტში, სადაც

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელების კუთხით მითითებულია ცენტრი;

- სასურველია გადაიხედოს სერტიფიკატის გაცემის წესი, რათა დაზუსტდეს სერტიფიკატის რეკვიზიტები;
- სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმაში მითითებული იყოს კონკრეტული აუდიტორია (აუდიტორიები) სადაც ჩატარდება ტრენინგები;
- სასურველია, შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ნებისმიერი სენსორული დარღვევის მქონე პირთა შეუფერხებელ ჩართვას სასწავლო პროცესში.

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი | შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. პროგრამის შინაარსი | ☐ | ☒ | ☐ |
| 2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები | ☒ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნინო ბოჭორიშვილი (თავმჯდომარე)

2. ლევან მადათოვი (წევრი)

## პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| 1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში IV და III რანგის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი შემუშავებულია, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 25 ივლისის N25 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი"-ს შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიას და შესაბამის პროცედურებს, აწესრიგებს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს, ასევე, ადგენს პროგრამის მსმენელებზე სერტიფიკატის გაცემის წესს და პირობებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას თვითშეფასებაში მითითებული ჰქონდა პროგრამის შემუშავებისა განხორციელების, როგორც წესი, ისე მეთოდოლოგია. ადგილზე ვიზიტისას დაზუსტდა, რომ წესი არსებობს ოფიციალური, ხელმძღვანელი პირის მიერ დამტკიცებული ფორმით, ხოლო მეთოდოლოგია წარმოადგენს წესის საფუძველზე შექმნილ ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპებს.<br><br>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის პროგრამის შემუშავების მიზნით 2019 წლის 04 აგვისტოს ქართული უნივერსიტეტის რექტორს მოხსენებითი ბარათით მიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 06 ივლისს N8 ბრძანებით საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/5 |

ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ შესაბამისად.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საბჭომ 2019 წლის 05 აგვისტოს ოქმი N5-01/07, გადაწყვეტილება N4-01/48 განიხილა და მოიწონა „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი“-ს შესაბამისად სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს. საბოლოოდ, კი პროგრამა დამტკიცდა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 13 აგვისტოს N27 ბრძანებით. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და სააკრედიტაციოდ წარდგენა განხორციელდა ძალიან მოკლე ვადებში, როგორც გამოიკვეთა დოკუმენტაციით, ერთ თვეზე ცოტა მეტი დასჭირდათ პროგრამის შემუშავების ინიცირებიდან აკრედიტაციისათვის მასალის მომზადების ჩათვლით, რასაც დაეთანხმა კიდეც ინტერვიუირებისას პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი. შეიძლება ამ მცირე დროით აიხსნას, გარკვეული უზუსტობები პროგრამასა და მოდულებში, ასევე თვითშეფასების ანგარიშის ნაკლებ ინფორმაციულობა.

ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 25 ივლისის N25 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი;
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 06 ივლისის ბრძანება №8, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების და აკრედიტაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- 2019 წლის 04 აგვისტოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საბჭოს 2019 წლის 05 აგვისტოს ოქმი N5-01/07, გადაწყვეტილება N4-01/48 საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 13 აგვისტოს N27 ბრძანება, საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ პროგრამების შემმუშავებელ ჯგუფთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არ საჭიროებს |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ პროგრამა ახალია |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **I.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.** |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშით ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვის აუცილებლობა გათვალისწინებულია უნივერსიტეტში „დამტკიცებული" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით. თუმცა ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია არ არსებობს დამტკიცებული ფორმით. დამტკიცებული ფორმით არსებობს პროგრამების შემუშავების და განვითარების წესი, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამის შემუშავებას. შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ გააჩინა კითხვები ორი სამართლებრივი აქტის თითქმის ერთი და იგივე შინაარსით არსებობის გამო. პრობლემა არ იქნებოდა პროგრამების შემუშავების და განვითარების წესი სრულად რომ მოიცავდეს აკრედიტაციის სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციას, მაგრამ გვხვდება საკითხები, მაგალითად პროგრამის შემუშავებისა და განვითარების თანამონაწილეობითი პროცესის აღწერა, მოცემულია მხოლოდ მეთოდოლოგიაში, რომელიც როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სარეკომენდაციო ფორმით არსებობს, არ არის დამტკიცებული და არც იგეგმება მისი დამტკიცება. ამ გაუგებრობის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა დამტკიცებული ფორმით არსებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომ შეიცავდეს სრულ ინფორმაციას, რაც ცალსახად გამორიცხავდა სტანდარტის დაკმაყოფილების პროცესში სახელმძღვანელო პრინციპების სახით შექმნილი დაუმტკიცებელი სამართლებრივი აქტის ინდიკატორად მითითებას. |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემმუშავებლებთან, ტრენერებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებამ ცალსახად დაადასტურა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში თანამონაწილეობა, მათი როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით. ინტერვიურებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, ჩართულები იყვნენ, როგორც შესაბამისი კომპეტენციის პირები, ისე დაინტერესებული პირები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის თანამშრომელი/თანამშრომლები.

პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული კომპეტენტური პირების ჩართულობის დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტი უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა და ვერც ვიზიტის მსვლელობისას იქნა მოწოდებული, თუმცა ინტერვიურებით დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფი და სხვა დაინტერესებული პირების შეხვედრა გაიმართა ორჯერ, დანარჩენ შემთხვევაში კი ინფორმაციების მიწოდება და დაინტერესებული პირებისაგან წინადადებების მიღება ხორციელდებოდა ელ. მიმოწერისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის შინაარსის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რაც ეყრდნობა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების და გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით შექმნილ სარეკომენდაციო სტანდარტებს. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გეგმავს ახალი კვლევის განხორციელებას, უკვე განხორციელებული კვლევის შედეგების გამოყენებას, ასევე დაინტერესებული პირის/პირების უშუალოდ ჩართვას პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი;
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 06 ივლისის ბრძანება №8, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების და აკრედიტაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამის შემუშავება/განვითარების თანამონაწილეობითი პროცესი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, ასახული იყოს ისეთ დოკუმენტში, რომელიც იქნება დამტკიცებული ფორმით;
- სასურველია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სისტემატიურად აწარმოოს დაინტერესებული კომპეტენტური პირების ჩართულობის დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტები, მაგალითად საკუთარი მუშაობა აწარმოონ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებით და სამუშაო ჯგუფის მუშაობა აღბეჭდონ სხდომის ოქმში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართული უნივერსიტეტის „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი"-ს მე-13 მუხლით გათვალისწინებულია პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge განთავსება. ვიზიტისას გადამოწმდა უნივერსიტეტის ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის მიზნების, პროგრამის განხორციელების ადგილისა და საკონტაქტო პირების შესახებ, ასევე ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამა და პროგრამის კომპონენტები - მოდულები/სილაბუსები, რომლების იძლევა ასევე, ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, პროგრამის შესრულების გეგმისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების (ტრენერების) შესახებ.

ინტერვიუერების პროცესში გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან მზაობა, იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში ვებგვერდიც გახდება მეტად ინფორმაციული, ასევე იგეგმება პრე და პოსტ ტესტებთან დაკავშირებული ინფორმაციების განთავსება.

აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდზე წარმოდგენილი პროგრამის კომპონენტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სხვა და სხვა სახელით, ანუ ადმინისტრაციული წარმოებისა და ეთიკა საჯარო სამსახურში - სილაბუსის სახით, ხოლო ეფექტური მომსახურება და კომუნიკაცია - მოდულის სახით, რაც ერთგვარ გაუგებრობას ქმნის. სასურველია პროგრამის ოთხივე კომპონენტი განთავსებულ იქნას მოდულის ან სილაბუსის სახით და მოდულის სრული სახელწოდებით. რაც შეეხება პროგრამის კომპონენტების შინაარსს, სასურველია ვებგვერდზე განთავსდეს, არა საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სხვადასხვა სახით და ფორმით შედგენილი, არამედ დაწესებულების მიერ ოფიციალურად დამტკიცებული სახით.

**ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროფესიული საქმიანობა [illegible]
- [illegible]
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://sangu.edu.ge/ka/article/[illegible]
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- არ საჭიროებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, ადმინისტრაციამ პროგრამის ოთხივე კომპონენტი ვებგვერდზე განთავსოს მოდულის ან სილაბუსის სახით, მოდულის ან სილაბუსის სრული სახელწოდების მითითებით;
- სასურველია, პროგრამის კომპონენტები (მოდული/სილაბუსი) ვებგვერდზე განთავსდეს, არა საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სხვადასხვა სახით და ფორმით შედგენილი, არამედ დაწესებულების მიერ ოფიციალურად, პროგრამასთან ერთად დამტკიცებული პროგრამის კომპონენტების სახით.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების მიხედვით, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ასევე გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციები. პროფესიული საჯარო მოხელის პროგრამის აკრედიტაციისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის მსვლელობისას მოწოდებული დოკუმენტაციისა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრების პროცესში მოპოვებული ინფორმაციით გამოიკვეთა შემდეგი:<br>ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში IV და III რანგის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას:<br>კურსის სტრუქტურა;<br>კურსის ხანგრძლივობა;<br>კურსის ხანგრძლივობის ფორმატი;<br>პროგრამის განმახორციელებელი ტრენერები;<br>მიზნობრივი ჯგუფი;<br>ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა;<br>კურსის ზოგადი აღწერა;<br>პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები;<br>კურსის გავლის წინაპირობები;<br>სწავლების ფორმა;<br>კურსის დიზაინი, საათების განაწილება;<br>ტრენინგის ფორმატი;<br>სწავლებისა და სწავლის მეთოდები;<br>შეფასების მეთოდები: კურსის და სწავლების შედეგების შეფასების კრიტერიუმები/შეფასების სქემა;<br>კურსის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები;<br>გამოყენებული ლიტერატურა/სასწავლო მასალა;<br>სწავლებისათვის საჭირო რესურსები.<br>პროგრამის ოთხივე კომპონენტი ეფუძნება:<br>ა) „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №242 დადგენილებას.<br>ბ) „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებას.<br>მასში ასახულია დადგენილებით გათვალისწინებული, III და IV რანგის საჯარო მოხელის (უფროსი სპეციალისტის და უმცროსი სპეციალისტის დონე) პროფესიული განვითარების |

საბაზისო - „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების მოდულის" მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების გათვალისწინებით, სწავლების ფორმად შერჩეულია საკლასო მეცადინეობა, რაც გულისხმობს ტრენერის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში.

დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას თან ახლდა პროგრამით გათვალისწინებული 4 მოდული, აღსანიშნავია, რომ პროგრამით კურსის სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტების მოდულის სახით არსებობას, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 4 კომპონენტიდან ორი - ადმინისტრაციული წარმოებისა და ეთიკა საჯარო სამსახურში წარმოდგენილი იყო სილაბუსის სახით, რომლებსაც თან ერთვოდა დღის წესრიგი, ეფექტიანი მომსახურებისა და დროის მართვის, ასევე პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა წარმოდგენილი იყო დღის წესრიგის სახით და თან ერთვოდა დღის წესრიგებიც. შესაბამისად პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახელწოდებით. ვიზიტისას დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა დამტკიცებული პროგრამა კომპონენტებთან ერთად, რომელშიც პროგრამას დანართის სახით თან ერთვოდა თემატიკა მოდულების სახით, აღნიშნული გაუგებრობა პროგრამის შემმუშავებლების მხრიდან აიხსნა იმით, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იქნა სარეკომენდაციო ფორმებში შესრულებული პროგრამის კომპონენტები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა მოდულში სწავლებისა და სწავლის მეთოდები არის იდენტური, ყოვლისმომცველი და ფართო, თუმცა არ არის შესაბამისობაში დღის წესრიგით გათვალისწინებული სწავლების მეთოდებთან. ინტერვიურებამაც აჩვენა, რომ ტრენერების მიერ მოდულში მითითებული სწავლების მეთოდები უფრო ფართოა, ყველა მათგანის გამოყენება ვერ მოხდებოდა, თუმცა საჭირო მეთოდები ასახული აქვს დღის წესრიგში. ვფიქრობთ ასეთ დროს პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტი სწავლება სწავლის მეთოდებში უნდა ასახავდეს მხოლოდ იმ მეთოდებს, რომლებიც ამ კონკრეტული მოდულის შესწავლისას გამოიყენება.

ზემოაღნიშულის გათვალისწინებით, პროგრამისა და პროგრამის კომპონენტების გამართული სტრუქტურის არსებობისათვის დაწესებულებამ პროგრამის კომპონენტები უნდა დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები უნდა იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული.

აღნიშნულ კომპონენტზე მსჯელობისას ექსპერტთა ჯგუფი გარდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა დაეყრდნო ვიზიტის განხორციელებისას დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიურებისას მოწოდებულ ინფორმაციას, იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების დანართით განსაზღვრული შესაბამისი რანგისთვის (III და IV რანგი) საგნების ჩამონათვალით და კომპეტენციების აღმწერით და მთლიანობაში პროგრამის პროგრამის კომპონენტების სტრუქტურა შეფასდა, როგორც თანმიმდევრული და ლოგიკური, რომელიც ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მატერიალური რესურსითა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით იძლევა პროგრამის განხორციელების გარანტიას.

ინდიკატორები:

- საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი;
- ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;
- ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;
- ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;
- პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;
- დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 13 აგვისტოს N27 ბრძანება, საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- გასაუბრება პროგრამის შემმუშავებლებთან;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან - ტრენერებთან.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ პროგრამის მოდიფიცირების გზით კომპონენტები დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ საჭიროებს

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობით და გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების

დანართით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენა მსმენელთა მიერ. გარდა ამისა, კურსის შემუშავების დროს გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის ბიროსთან კონსულტაციების და რეკომენდაციების შედეგები.

პროგრამა მოიცავს 24 საკონტაქტო საათს, რომელიც განაწილებულია პროგრამის შემდეგ კომპონენტებზე/მოდულებზე:

ადმინისტრაციული წარმოება;

ეთიკა საჯარო სამსახურში;

ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა;

პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების დანართით განსაზღვრული შემდეგი კომპეტენციების განვითარებას.

☒ ეფექტური კომუნიკაცია

☒ დამოუკიდებელი მუშაობის უნარი

☒ გუნდური მუშაობის უნარი

☒ კომპლექსური აზროვნება

☒ დროის ეფექტიანი მართვა

☒ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის, დეტალებზე ორიენტირების უნარი

☒ საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი

აღსანიშნავია, რომ დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს პროგრამის კომპონენტებმა, რომლებიც თავისი შინაარსის გათვალისწინებით მსმენელს გამოუმუშავებს ერთ ან რამდენიმე კომპეტენციას და ჯამი პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპეტენციის გამომუშავებას უზრუნველყოფს, რომლის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დამტკიცებული სწავლის შედეგების რუკა.

დაწესებულებას სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას არ გააჩნდა სწავლის შედეგების რუკა, თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა არაოფიციალური სახით შედგენილი სწავლის შედეგების რუკა. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების თვითშეფასებით „კომპეტენციების დაკმაყოფილებას სასწავლო მოდულები უზრუნველყოფენ ცოდნასთან, უნარებთან და დამოკიდებულებების ცვლილებებთან დაკავშირებული სწავლის შედეგებით, რაც დეტალურად არის ასახული ცალკეული მოდულის დღის წესრიგში და სწავლის შედეგების რუკაში". თუმცა ვიზიტისას წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში და თითოეულ მოდულში განსაზღვრული კომპეტენციები ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსის ეს მოდული უზრუნველყოფს გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავებას, მაშინ როცა სწავლის შედეგების რუკით აღნიშნული კომპეტენციის განვითარება აღნიშნული არ არის, ასევე ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვის სილაბუსით განსაზღვრულია, რომ ეს მოდული ხელს შეუწყობს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: ეფექტიანი კომუნიკაცია, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ხოლო სწავლის შედეგების რუკის მიხედვით აღნიშნული მოდული არც ერთ აღნიშნულ კომპეტენციას არ ავითარებს. რაც შეეხება პროფესიულ კომუნიკაციას, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობის სილაბუსით განსაზღვრულია დამოუკიდებელი მუშაობის უნარისა და კომპლექსური აზროვნების უნარის განვითარება, რაც სწავლის

| |
|---|
| შედეგების რუკაში ასევე არ არის აღნიშნული. ეთიკა საჯარო სამსახურში კი სრულ თანხვედრაშია სწავლის შედეგების რუკასთან.<br>ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დღეს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის შემმუშავებლებისა და პროგრამის განმახორციელებელი - ტრენერებისაგან მოისმინა განმარტება, რომ შეცდომა ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს და უნდა გვეხელმძღვანელა სილაბუსში/მოდულში განსაზღვრული კომპეტენციებით. ამ მხრივაც, უნდა აღინიშნოს, რომ ორი მოდული - ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა, ასევე პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობის სილაბუსებით განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპეტენციის განვითარება, რის საფუძველსაც მოდულის შინაარსი და დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობები არ იძლევა. |
| **ინდიკატორები:**<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი;<br>○ ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;<br>○ ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;<br>○ ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;<br>○ პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;<br>○ გასაუბრება პროგრამის შემმუშავებლებთან;<br>○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან - ტრენერებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების/კომპეტენციების მოდიფიცირება და სწავლის შედეგების რუკასთან თავსებადობა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ პროგრამა ახალია |

| |
|---|
| **შეფასება** |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კურსი შედგება 4 მოდულისგან და თითოეული მოდულისათვის განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული 24 საკონტაქტო საათიანი დატვირთვიდან ხვედრითი წილები, კერძოდ:<br>მოდული 1. ადმინისტრაციული წარმოება (10 საათი);<br>მოდული 2. ეთიკა საჯარო სამსახურში (6 საათი);<br>მოდული 3. პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა (4 საათი);<br>მოდული 4. ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა (4 საათი).<br><br>მოდულებით გათვალისწინებული საათები ნაწილდება შემდეგნაირად:<br>**ადმინისტრაციული წარმოება - საკონტაქტო 10 საათიდან,** დრო ნაწილდება შემდეგნაირად:<br><br>ლექცია/სწავლება: 360 წთ.<br>პრაქტიკული მეცადინეობა (სწავლა კეთებით) 210 წთ.<br>შეფასება (პრე/პოსტ ტესტები) 30 წთ.<br><br>**ეთიკა საჯარო სამსახულში - საკონტაქტო 6 საათიდან,** დრო ნაწილდება შემდეგნაირად:<br><br>ლექცია/სწავლება: 120 წთ.<br>პრაქტიკული მეცადინეობა (სწავლა კეთებით) 210 წთ.<br>შეფასება (პრე/პოსტ ტესტები) 30 წთ.<br><br>რაც შეეხება პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობისა და ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვის მოდულებს, წინა ორი მოდულისაგან განსხვავებული ფორმატით აღწერს საათების განაწილებას, მაგალითად - „**საკონტაქტო 4-4 საათიდან,** დრო ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო მოდულისთვის დროის ერთეულია - 1 სესია - არაუმეტეს, 90 წუთი. მოდული მოიცავს 4 სესიას (6 საათი)" და არ გვაძლევს ინფორმაციას ლექცია/სწავლებაზე, პრაქტიკული მეცადინეობისა და შეფასებაზე გამოყოფილი დროის შესახებ, ისე როგორც ეს მოცემულია ადმინისტრაციული წარმოებისა და ეთიკა საჯარო სამართალის მოდულებში. სასურველია პროგრამის ოთხივე კომპონენტი |

იძლეოდეს ერთი და იგივე ფორმატით ინფორმაციას საკონტაქტო საათებიდან დროის განაწილების შესახებ.

მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს გათავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში - 6 საკონტაქტო საათს.

ამდენად, პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

**ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი;
- ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;
- ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;
- ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;
- პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;
- გასაუბრება პროგრამის შემმუშავებლებთან;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან – ტრენერებთან.

**რეკომენდაციები:**

- არ საჭიროებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის ოთხივე კომპონენტი იძლეოდეს ერთი და იგივე ფორმატით ინფორმაციას საკონტაქტო საათებიდან დროის განაწილების შესახებ.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:
ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს;
ბ) პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:
ა) დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი არ ყოფილა სასწავლო მასალა - ჰენდაუთები, ხოლო პროგრამასა და პროგრამის კომპონენტების სახით წარმოდგენილ სილაბუსებში ასახულია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა, როგორც სახელმძღვანელოებს, კომენტარებს, რეკომენდაციებს, სხვადასხვა ვრცელ ნაშრომებს, ისე საქართველოს ნორმატიულ აქტებს სრულად. აღნიშნული, შეიძლება შეფასდეს ტრენინგის ფორმატისა და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით ვრცელ მასალად, თუმცა, პროგრამის შემმუშავებლებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა - ტრენერებმა ინტერვიურებისას განგვიმარტეს, რომ ეს ლიტერატურა, რა თქმა უნდა, მოდულის შინაარსის გათვალისწინებით გამოყენებული უნდა იყოს ჰენდაუთებისათვის და თავისთავად არ გულისხმობს მსმენელებისათვის მათ როგორც სასწავლო მასალად მითითებას. რაც შეეხება ჰენდაუთებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ სააკრედიტაციო დოკუმენტაციასთან ერთად დაწესებულებას არ წარმოუდგენია, ხოლო ვიზიტის მსვლელობისას მოგვაწოდეს უკვე შემუშავებული ადმინისტრაციული წარმოების მოდულისათვის განკუთვნილი ჰენდაუთი, აქვე განგვიმარტეს, რომ დამუშავების პროცესშია კიდევ ორი მოდულის ჰენდაუთი, ხოლო მათივე განმარტებით ეთიკა საჯარო სამსახურში მოდულს ცალკე ჰენდაუთი არ დასჭირდება, რადგან სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მასალა თავად ჰენდაუთს წარმოადგენს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკა საჯარო სამსახურში მოდულით ძირითად ლიტერატურაში ითვალისწინებს ორი სახის ქართულენოვან სასწავლო მასალას, დანარჩენი ლიტერატურა არის უცხოენოვანი, რაც ბადებს კითხვებს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების კუთხით. როგორც ვიცით აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე და პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს უცხო ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა. ასევე საქართველოს კანონმდებლობით სამართალწარმოების ენა არის ქართული, ამდენად უმჯობესია მოდულში ძირითად ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამის ორი კომპონენტისათვის სასწავლო მასალა - ჰენდაუთები დაწესებულებას ჯერ შემუშავებული არ აქვს. სასწავლო მასალის შექმნა კი აუცილებელია, რადგან თავად მოდულებისათვის გამოყოფილი მცირე საკონტაქტო საათები არ იძლევა შესაძლებლობას დიდი მოცულობის მასალის შემეცნებისა, ტრენინგის სრულფასოვანი განხორციელებისათვის კი მნიშვნელოვანია მსმენელებს მიეწოდოს კონკრეტულ თემატიკაზე შედგენილი და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო მასალა.

ვიზიტის მსვლელობისას წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მოდულისთვის გამოსაყენებელი სასწავლო მასალა/ჰენდაუთი არის მოდულის შინაარსითა და დარგის აქტუალური მიღწევების ამსახველი ძირითადი ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება პროგრამის ფარგლებში განსავითარებელ კომპეტენციებს.

ინტერვიუურებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა მონაწილეობით სასწავლო პროცესი განხორციელდება სწავლების ინტერაქტიული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ეკლექტური მიდგომით, კერძოდ სწავლების განსხვავებული მეთოდების კომბინირებული გამოყენებით, რაც მათი აზრით გაზრდის კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს.

ბ) დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში პროგრამის განხორციელების გეგმის სახით წარმოდგენილია, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის განხორციელების გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მოდულების, მოდულისათვის გამოყოფილი საათებისა და შეფასების მეთოდების შესახებ. თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კომპონენტებს დანართის სახით ახლავს დღის წესრიგები, სადაც ასახულია ინფორმაცია სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რაც შეეხება მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაცია ასახულია თავად პროგრამის კომპონენტებში/მოდულებში.

აღნიშნულ კომპონენტზე მსჯელობისას ექსპერტთა ჯგუფი გარდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა დაეყრდნო ვიზიტის განხორციელებისას დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუურებისას მოწოდებულ ინფორმაციას, იხელმძღვანელა სტანდარტის მოთხოვნებით და მიგვაჩნია, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელების გეგმისათვის გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია ასახული აქვს სხვადასხვა დოკუმენტებში, რითაც შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;
- ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;
- ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;
- პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;
- გასაუბრება პროგრამის შემმუშავებლებთან;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან - ტრენერებთან;
- გასაუბრება ფაკულტეტის დეკანთან და ფაკულტეტის კოორდინატორთან.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სასწავლო მასალა/ჰენდაუთები, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, პროგრამის კომპონენტში/ მოდულში უცხოენოვანი სასწავლო მასალა არ მიეთითოს ძირითად ლიტერატურად და გადავიდეს დამატებით ლიტერატურაში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა ითვალისწინებს შეფასების მეთოდებს: კურსის და სწავლების შედეგების შეფასების კრიტერიუმებს/შეფასების სქემას, რომლითაც უკუკავშირის ფორმა მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებას:

მონაწილეთა თვითშეფასება (ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ ცოდნისა და უნარების);

ტრენინგის კომპონენტების შეფასებას

- ტრენერის შეფასება
- ტრენინგის გარემოს შეფასება
- ტრენინგის პროცესის შეფასება
- ტრენინგის შინაარსის შეფასება
- ტრენინგის შედეგის შეფასება
- ზოგადი კმაყოფილება

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესითა და მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია მსმენელთა მიერ უკუკავშირის მიღების აუცილებლობა. წესის მე-14 მუხლით მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება უნდა მოხდეს დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად. დანართის სახით შემუშავებული კითხვარით შესაძლებელია პროგრამის შინაარსის, რესურსების და განხორციელების სრულფასოვანი შეფასება, რაც უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს, გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები.

ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი;
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგია;
- მოდულის შეფასების ფორმა (უკუკავშირის კითხვარი);
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის შემმუშავებლებთან.

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ საჭიროებს

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა.

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:
ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით;
ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;

| |
|---|
| გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი უნდა მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:<br>ა) დაწესებულებას სააკრედიტაციოდ არ წარმოუდგენია და ვერც ადგილზე ვიზიტისას ვერ მოგვაწოდეს ცალკე დოკუმენტის სახით წინასწარ შედგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, თუმცა სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები გათვალისწინებულია, როგორც პროგრამაში, ასევე პროგრამის კომპონენტებში/ მოდულებში. ინტერვიუერებისას, ასევე გაგვიმარტეს, რომ დოკუმენტი დამუშავების პროცესშია და პროგრამის განხორციელებისას ექნებათ.<br>აღნიშნულ კომპონენტზე მსჯელობისას ექსპერტთა ჯგუფი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუერებისას მოწოდებულ ინფორმაციას გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესის მე-14 მუხლისა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, რითაც შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.<br>ბ) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს შეფასების მეთოდებს: კურსის და სწავლების შედეგების შეფასების კრიტერიუმებს/შეფასების სქემას, რომლითაც უკუკავშირის ფორმა მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებას:<br>მონაწილეთა თვითშეფასება (ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ ცოდნისა და უნარების);<br>ტრენინგის კომპონენტების შეფასებას<br>- ტრენერის შეფასება<br>- ტრენინგის გარემოს შეფასება<br>- ტრენინგის პროცესის შეფასება<br>- ტრენინგის შინაარსის შეფასება<br>- ტრენინგის შედეგის შეფასება<br>- ზოგადი კმაყოფილება<br>ტრენინგის სწავლების შედეგების შეფასება (შეფასების ინსტრუმენტები: უკუკავშირის კითხვარის პრე და პოსტ ტესტებს.<br>პროგრამის კომპონენტებით კი კურსის შეფასება რეკომენდებულია განხორციელდეს კირკპატრიკის 4 დონიანი მოდელის გათვალისწინებით:<br>**დონე 1:** რეაქციის შეფასება - მონაწილეთა სუბიექტური შეფასება, მათი დამოკიდებულება ტრენინგის ხარისხსა და სარგებლიანობის შესახებ (უკუკავშირის კითხვარი; ინტერვიუ):<br>უკუკავშირის ფორმა მოიცავს შემდეგ ბლოკებს:<br>კურსით ზოგადი კმაყოფილების შეფასება<br>მონაწილეთა თვითშეფასება<br>ტრენინგის გარემოს შეფასება<br>ტრენერის შეფასება<br>ტრენინგის პროცესის შეფასება |

ტრენინგის შინაარსის შეფასება და სხვა.

**დონე 2:** სწავლის შედეგების შეფასება - მონაწილეთა თვითშეფასება და პრე-პოსტ შეფასება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების დონის ცვლილების გასაზომად, ტრენინგის შედეგების გაზომვა (უკუკავშირის კითხვარი, ტესტები, პრე და პოსტ ტესტირები, ასევე პრე და პოსტ თვითშეფასება და სხვა);

**დონე 3:** ქცევის ცვლილების შეფასება - ტრენინგის შემდგომ მინიმუმ 3 თვიანი დაკვირვება მოხელის ქცევაზე ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, სამუშაო ადგილზე, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების პროცესში - ტრენინგზე მიღებული ცოდნის ტრანსფერი (გამოკითხვა, დაკვირვება, სამუშაოს შეფასება (Performance Apprisal) და სხვა);

**დონე 4: შედეგის/გავლენის შეფასება** - მინიმუმ 3 თვიანი დაკვირვება ტრენინგის შედეგების გავლენაზე შესრულებული სამუშაოს ხარისხთან, მოხელის პროდუქტიულობასთან, მოტივაციასთან მიმართებაში (ადამიანური რესურსის გადინების მაჩვენებელი, მადლობის წერილები, საჩივრების შემცირება, სამუშაოთი კმაყოფილების მაჩვენებელი და სხვა.

| კრიტერიუმი და ინდიკატორი | სამიზნე ნიშნული (Target) | შეფასების მეთოდი |
|---|---|---|
| 1. პრე-პოსტ ტესტირებების/შეფასებების ანალიზი აჩვენებს ჯგუფის პროგრესს, სულ მცირე, 3 ერთეულით (30%) | 3 ერთეული (30%) | 10 კითხვანი ტესტი, რომელსაც თითოეული მოდულის დასაწყისში და ბოლოს მონაწილეები ავსებენ. სწავლების შედეგის - პროგრესის გაზომვის მიზნით. |
| 2. მონაწილეთა ცოდნისა გაუმჯობესების ხარისხის თვითშეფასება აჩვენებს ჯგუფის პროგრესს, სულ მცირე, 3 ერთეულით (30%) | 3 ერთეული (30%) | უკუკავშირის კითხვარი (თვითშეფასების ბლოკი), რომელიც ივსება კურსის ბოლოს და მონაწილეები აფიქსირებენ საკუთარ სუბიექტურ აღმებზე დაყრდნობით, ტრენინგამდე და ტრენინგის ბოლოს ცოდნის გაუმჯობესების ხარისხს (10 ქულიან სკალაზე). |
| 3. მონაწილეთა უნარების გაუმჯობესების ხარისხის თვითშეფასება აჩვენებს ჯგუფის პროგრესს, სულ მცირე, 2 ერთეულით (20%) | 2 ერთეული (20%) | უკუკავშირის კითხვარი (თვითშეფასების ბლოკი), რომელიც ივსება კურსის ბოლოს და მონაწილეები აფიქსირებენ საკუთარ სუბიექტურ აღმებზე დაყრდნობით, ტრენინგამდე და ტრენინგის ბოლოს უნარების ს გაუმჯობესების ხარისხს (10 ქულიან სკალაზე). |
| 4. მონაწილეთა მიერ კურსის/მოდულის შეფასების ზოგადი კმაყოფილების შეფასების ანალიზი პოზიტიურია | სულ მცირე, 70% კმაყოფილი | უკუკავშირის კითხვარი, რომელიც ივსება კურსის ბოლოს და მონაწილეები აფიქსირებენ კურსით/მოდულით საკუთარ ზოგად დამოკიდებულებას (კმაყოფილებას). |

აღსანიშნავია, რომ პირველი დონის - რეაქციის შეფასების მიზნით დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს უკუკავშირის ფორმა, ასევე ხარისხის მექანიზმები ითვალისწინებს მისი შედეგების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოყენების შესაძლებლობას. რაც შეეხება მეორე დონის შეფასებას ითვალისწინებს პრე და პოსტ ტესტებით და პრე და პოსტ თვითშეფასებით შეფასებას, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ტესტები ჯერ შემუშავებული არა აქვთ და მათი შემუშავება იგეგმება პროგრამის

განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პირდაპირ არ წარმოადგენდა დაწესებულების მხრიდან დასაკმაყოფილებელი სტანდარტის კრიტერიუმს. ასევე ინტერვიურებისას პროგრამის შემმუშავებლებმა და ტრენერებმა განგვიმარტეს, რომ პრე და პოსტ ტესტები შემუშავდება მოდულის შინაარსის გათვალისწინებით და შესაძლებელია იყოს 10-20 ტესტი.
რაც შეეხება მესამე და მეოთხე დონის შეფასების უზრუნველყოფას ინტერვიურებამ აჩვენა, რომ დაწესებულებას გათვითცნობირებული აქვს აღნიშნული შეფასების რეალისტური განხორციელების გზები, საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების სამსახურთან ურთიერთობითა და კურსდამთავრებულ მსმენელთა ბაზის გამოყენებით.
გ) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების მექანიზმი, რომლითაც დაგეგმილია სწავლის შედეგების შეფასების ანალიზითა და მისი შედეგების გამოყენებით, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება. ინტერვიურებამ, კი აჩვენა რომ პროგრამის შემმუშავებლებსა და ადმინისტრაციას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გააზრებული აქვს სწავლის შედეგების ანალიზისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირების აუცილებლობა.

**ინდიკატორები:**

- საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი;
- ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;
- ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;
- ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;
- პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;
- ინტერვიუ პროგრამის შემმუშავებლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან - ტრენერებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან.

**რეკომენდაციები:**

- არ საჭიროებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ საჭიროებს

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია

| შეფასება |
| --- |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე. |
| --- |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამით - გათვალისწინებული არ არის პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი, თუმცა ასახულია პროგრამის კომპონენტებში, რომლითაც პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების, „კ" პუნქტის შესაბამისად, მოდული გავლილად ჩაითვლება არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით). აღსანიშანავია, რომ დასწრების აღრიცხვა თანამდებობრივად ფაკულტეტის კოორდინატორის ფუნქციებში შედის, ინტერვიურებისას - ასევე, წარმოდგენილი იქნა დასწრების აღრიცხვის ფორმაც. დაწესებულების რეგულაცია და პროგრამის კომპონენტები ასევე, ითვალისწინებენ გამონაკლის შემთხვევებს, რომლითაც: ა) საპატიო მიზეზით ტრენინგ(ებ)ის გაცდენა დადასტურებული უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და დამოწმებული დოკუმენტით (ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ფორმა 100, საავადმყოფო ფურცელი და სხვა). ბ) საპატიო გაცდენა არ უნდა აღემატებოდეს საკონტაქტო საათების 20%-ს. გ) დასწრების ზღვარის - 80% შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია თავიდან გაიაროს მოდული.<br><br>პროგრამის კომპონენტებით ასევე, გათვალისწინებულია სერტიფიკატის გაცემისათვის საჭირო მეორე კომპონენტი - სრული პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგი, თუმცა არ ითვალისწინებს ფორმას. პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესით ფინალური შეფასების, ტესტური გამოცდის მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 75 %-ს, გადალახვის შემთხვევაში მსმენელზე გაიცემა სერტიფიკატი. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ვერ გადალახავს ფინალური გამოცდის მინიმალურ ზღვარს, მას ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ გადაბარების უფლების მოპოვების მიუხედავად მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს გამოცდისათვის დადგენილი მინიმალურ ზღვარს, მასზე არ გაიცემა სერტიფიკატი. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასებისათვის გამოყენებული |

იქნება მოდულებისათვის გამოყოფილი დროისა და შინაარსის გათვალისწინებით შედგენილი 100 ტესტური დავალება, რომელთა განაწილება თემატურად შესაძლოა განხორციელდეს 40-30-15-15 %-იანი ხვედრითი წილით. სასურველია პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი ფორმატი დაწესებულებამ დააფიქსიროს ოფიციალურად დამტკიცებულ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესში, ასევე ასახოს პროგრამასა და პროგრამის კომპონენტებში.

რაც შეეხება სერტიფიკატის ფორმას და რეკვიზიტებს, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სერტიფიკატის ნიმუში ჯერ შემუშავებული არ აქვთ, ხოლო პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის მე-12 მუხლით სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ პროფესიული განვითარების ცენტრი (სკოლა) უფლებამოსილია გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია სხვადასხვა დოკუმენტებში პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ორგანოს სახით ცენტრის მითითებამ. ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ ცენტრი, რომლის შექმნაც ფაკულტეტის ფარგლებში იგეგმებოდა ამ მომენტისათვის შექმნილი არ არის. შესაბამისად მივიღეთ დამაზუსტებელი განმარტება, რომ პროგრამა განხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფარგლებში, - რაც ასევე დასტურდება სკოლის დებულებით. სკოლის დებულების მე-3 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია სკოლის უფლებამოსილებები პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ადმინისტრირების მიზნით.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესით განსაზღვრული აქვს რეკვიზიტები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სერტიფიკატი. კერძოდ:

ა) გაცემის ადგილი;

ბ) სასწავლო ცენტრის ლოგოს აღნიშვნა;

გ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა სერტიფიკატი სასწავლო პროგრამის დასრულებისათვის;

დ) ხელმომწერი პირ(ებ)ის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა/ხელმოწერები;

ე) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ვ) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აღინიშნება სერტიფიკატის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ ერთიან რეესტრში.

ასევე აღნიშნულია, რომ სერტიფიკატზე გამოიყენება ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ავთენტური ხელმოწერა.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან ირკვევა, სერტიფიკატიც ცენტრის ლოგოს აღნიშვნას ითვალისწინებს, ვიზიტის დროს ინტერვიურების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა პოზიცია და გამოხატეს მზადყოფნა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავენ სერტიფიკატის გაცემის წესს და რადგან პროგრამის განმახორციელებელი არის უნივერსიტეტი, რომელმაც გააკეთა განაცხადი პროგრამის აკრედიტაციის შესახებ შესაბამისად სერტიფიკატზე უნდა მოხდეს უნივერსიტეტის სახელწოდების (სამართლებრივი ფორმის მითითებით) და უნივერსიტეტის ლოგოს აღნიშვნა.

ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დებულება;
- საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი;
- ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსი;
- ეთიკა საჯარო სამსახურში სილაბუსი;
- ეფექტური მომსახურება და დროის მართვა დღის წესრიგი;
- პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა დღის წესრიგი;
- ინტერვიუ პროგრამის შემმუშავებლებთან;
- ინტერვიუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სერტიფიკატის გაცემის წესი პროგრამის კომპონენტების მსგავსად ასახული იყოს პროგრამაში.
- სასურველია პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი ფორმატი დაწესებულებამ დააფიქსიროს ოფიციალურად დამტკიცებულ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესში, ასევე ასახოს პროგრამასა და პროგრამის კომპონენტებში.
- აკრედიტაციის მიზნებისთვის სასურველია დაწესებულებამ ცენტრის შექმნამდე და ფუნქციების განსაზღვრამდე, შეიტანოს ცვლილება ყველა იმ სამართლებრივ აქტში, სადაც პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელების კუთხით მითითებულია ცენტრი.
- სასურველია გადაიხედოს სერტიფიკატის გაცემის წესი, რათა დაზუსტდეს სერტიფიკატის რეკვიზიტები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| პროგრამის შინაარსი | ☐ | ☒ | ☐ |

## 2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| |
|---|
| 2.1. სწავლებას ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი):<br>ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;<br>ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>სწავლებას განახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 10 ტრენერი. ყველა მათგანს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება და შესაბამის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. თითქმის ყველა მათგანს აქვს/ქონდა პრაქტიკული შეხება საჯარო სამსახურის რეფორმასთან. რამდენიმე მათგანი საჯარო სამსახურის ბიუროს მოქმედი თანამშრომელია. წარმოდგენილ იქნა ტრენერთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ტრენერის CV – ში არ იყო მითითებული ტრენერად მუშაობის გამოცდილება, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა განახლებული დოკუმენტები, რომელშიც სრულყოფილად იყო ასახული ტრენერების გამოცდილება. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია 2-3 ტრენერი, მხოლოდ ერთ მოდულს „პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა" წაიკითხავს 1 ტრენერი. |

| |
|---|
| ტრენერების პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუირებით დასტურდება, რომ მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ვერ მოახდენს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე. |
| **ინდიკატორები:**<br>○ ტრენერების CV;<br>○ ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ არ საჭიროებს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არ საჭიროებს |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ პროგრამა ახალია |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული:<br>ა) სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს;<br>ბ) მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის სწავლება განხორციელდება საკლასო შეცადინეობის ფორმით, სატრენინგო ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება 15 მსმენელს. ტრენინგი ჩატარდება - სამუშაო დღეებში არაუმეტეს 4 საკონტაქტო საათი, ხოლო არასამუშაო დღეებში 6 საკონტაქტო საათი. |
| **ინდიკატორები:**<br>○ პროგრამა;<br>○ ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ არ საჭიროებს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არ საჭიროებს |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ პროგრამა ახალია |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:<br>ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;<br>ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს;<br>გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;<br>დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის; |

ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონეპირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, აზომვითი ნახაზები, კურსის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერა, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები მდებარეობს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №53ა, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც უნივერსიტეტისათვის 2012 წლიდან 20 წლის ვადით გადაცემული აქვს უძრავი ქონება თხოვების ხელშეკრულებით. პირველი კორპუსის საერთო ფართია 3969.1 კვ.მ. ხოლო მეორე კორპუსის 1983.9. სასწავლო ფართი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით ჭკვიანი დაფებით, პროექტორებით, ავეჯით და საჭირო ინვენტარით, უნივერსიტეტში არის საკონფერენციო დარბაზები და რეკრეაციული სივრცეები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებისათვის კონკრეტული აუდიტორია მითითებული არსად არ არის, თუმცა ინტერვიუირებისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ტრენინგები ძირითადად ჩატარდება საღამოს საათებში და ცხრილი იძლევა იმის საშუალებას რომ არ მოხდეს ლექციების და ტრენინგების გადაფარვა. ამასთან ყველა აუდიტორია აღჭურვილია ტრენინგისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

პროგრამის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც გაანგარიშებულია 15 მსმენელზე, მოიცავს ექსპერტების ჰონორარს, საკანცელარიო ხარჯებს, საოფისე, კომუნალურ და ადმინისტრაციულ ხარჯებს. უნივერსიტეტის კანცლერთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელება არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ამ ბიუჯეტზე, უნივერსიტეტს გააჩნდა დაფინანსების რამდენიმე წყარო, საბიუჯეტო ასიგნებები, სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური, მიზნობრივი გრანტები და სხვა. უნივერსიტეტი საკანცელარიო ნივთების შესყიდვას ერთიანად ახდენდა შესაბამისად მათ გააჩნდათ შესაბამისი მარაგი, რომელიც გამოიყენებოდა ტრენინგ-კურსების განხორციელებაში.

შესწავლილ იქნა პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები, სამსახურის დებულებები და პერსონალის პირადი საქმეები, მათი ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს.

შენობაში დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები. რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის, შენობაში შესვლა და გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი, შენობას აქვს ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები. ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს სენსორული დარღვევების მქონე პირს (სმენა, მხედველობა) გაიაროს შეთავაზებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების

| |
|---|
| პროგრამა. თუმცა ინტერვიურების პროცესმა ცხადყო, რომ დაწესებულებას აქვს კარგი გამოცდილება ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა საჭიროებების გამოვლენასა და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფისა. შესაბამისად სასურველია, შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ნებისმიერი სენსორული დარღვევის მქონე პირთა შეუფერხებელ ჩართვას სასწავლო პროცესში. |
| **ინდიკატორები:**<br>○ საჯარო რეესტრის ამონაწერი (საკადასტრო კოდი 01.14.07.007.033);<br>○ უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება;<br>○ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერა;<br>○ პროგრამის ბიუჯეტი;<br>○ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;<br>○ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერება;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ არ საჭიროებს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>○ სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმაში მითითებული იყოს კონკრეტული აუდიტორია (აუდიტორიები) სადაც ჩატარდება ტრენინგები;<br>○ სასურველია, შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ნებისმიერი სენსორული დარღვევის მქონე პირთა შეუფერხებელ ჩართვას სასწავლო პროცესში. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ პროგრამა ახალია |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. |

| |
|---|
| |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ამოქმედების შემდეგ პროგრამის მსმენელების მხრიდან გათვალისწინებულია უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა, შემუშავებულია კითხვარები ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით. ვინაიდან პროგრამა არ ხორციელდება ამ ეტაპზე სამიზნე ნიშნულები დადგენილი არ არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების მექანიზმი, რომლითაც პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის დაგეგმილია მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების მეშვეობით სამიზნე ნიშნულების დადგენა ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გამოყენება. |
| **ინდიკატორები:**<br><br>○ კითხვარები.<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ არ საჭიროებს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არ საჭიროებს |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ პროგრამა ახალია |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები | ☒ | ☐ | ☐ |